


ფინანსური ანგარიშგება და კომპილაციის
ანგარიში

შპს გლობალ კომპანი

2021 წლის 31 დეკემბერი



სარჩევი

	1
ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციაზე	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8
1. ზოგადი ინფორმაცია	8
2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	8
2.1. წარდგენის საფუძველები	8
2.2. მომზადების საფუძველები	8
2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა	8
2.4. ამონაგების აღიარება	8
2.5. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები	9
2.6. მოგების გადასახადი	9
2.7. ძირითადი საშუალებები	9
2.8. არამატერიალური აქტივები	10
2.9. აქტივების გაუფასურება	10
2.10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	10
2.11. კაპიტალი	11
2.12. უცხოური ვალუტა	11
2.13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
2.14. სავაჭრო ვალდებულებები	11
3. ძირითადი საშუალებები	12
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
5. ფულადი სახსრები	13
6. სესხები	13
7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14
8. შემოსავალი რეალიზაციიდან	14
9. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	14
10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15
11. ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	15
12. ფინანსური ანგარიშგების გადანგარიშგება	15

ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციაზე

შპს „გლობალ კომპანი“-ს ხელმძღვანელობას

შპს გრანტ თორნტონ
ქუთუვან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო
ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia
T + 995 322 604 406

თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ჩვენ მოვამზადეთ შპს „გლობალ კომპანი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვასა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურებების საერთაშორისო სტანდარტის 4410 (გადასინჯული), „კომპილაციური გარიგებების“ შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება ბუღალტერიასა და ფინანსურ ანგარიშგებაში, რათა დაგხმარებოდით ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. გარიგების შესრულებისას დავიცავით შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები, მათ შორის: პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და საქმისადმი კეთილსინდისიერი მიდგომის.

წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე მთლიანობაში და მისი მომზადებისას გამოყენებული ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეზე პასუხისმგებელი ხართ თქვენ.


რადგან ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ მოგვეთხოვება თქვენ მიერ ანგარიშგების მოსამზადებლად წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტის ან სისრულის გადამოწმება. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ აუდიტორულ მოსაზრებას ან მიმოხილვის დასკვნას იმის თაობაზე, არის თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული.

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020 (გადაანგარიშებული)
აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
არამატერიალური აქტივები		374	526
ძირითადი საშუალებები	3	191,258	248,640
<i>მთლიანი გრძელვადიანი აქტივები</i>		<i>191,632</i>	<i>249,166</i>
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>			
მარაგები		1,946	2,309
ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები			
საგადასახადო ავანსი			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	608,289	451,434
ფული და ფულის ექვივალენტები	5	109,801	124,757
<i>მთლიანი მოკლევადიანი აქტივები</i>		<i>720,036</i>	<i>578,500</i>
<i>მთლიანი აქტივები</i>		<i>911,668</i>	<i>827,666</i>
ვალდებულებები და კაპიტალი			
<i>კაპიტალი</i>			
საწესდებო კაპიტალი		35,282	23,282
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	-	626,549	484,923
<i>მთლიანი კაპიტალი</i>		<i>661,831</i>	<i>508,205</i>
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
გრძელვადიანი სესხები	6	-	-
<i>მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები</i>		<i>-</i>	<i>-</i>
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები</i>			
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	6	210,056	281,393
მიღებული ავანსები		-	-
გადასახდელი ხელოვნებები		-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	39,781	38,068
<i>მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები</i>		<i>249,837</i>	<i>319,461</i>
<i>მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი</i>		<i>911,668</i>	<i>827,666</i>




მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	წელი 2021	წელი 2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	8	4,613,874	2,239,243
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9	(4,065,786)	(1,848,641)
<i>საერთო მოგება</i>		<i>548,088</i>	<i>390,602</i>
გაყიდვებისა და მარკეტინგის ხარჯები		-	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(350,789)	(359,986)
<i>საოპერაციო ხარჯები</i>		<i>(350,789)</i>	<i>(359,986)</i>
<i>საოპერაციო მოგება</i>		<i>197,299</i>	<i>30,616</i>
ფინანსური შემოსავლები		249	655
ფინანსური ხარჯები		(12,171)	(7,439)
ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	11	(21,906)	(10,249)
სხვა არასაოპერაციო შემოსულობა (ზარალი)		(21,845)	9,485
<i>მოგება დაბეგვრამდე</i>		<i>141,626</i>	<i>23,068</i>
მოგების გადასახადის ხარჯი	12	-	(12,502)
<i>საანგარიშო პერიოდის მოგება</i>		<i>141,626</i>	<i>10,566</i>
სხვა სრული შემოსავალი		-	-
<i>სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში</i>		<i>141,626</i>	<i>10,566</i>




კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	23,282	536,617	559,899
წლის მოგება		10,566	10,566
წლის სხვა შემოსავალი	-	-	-
წლის მთლიანი შემოსავალი	-	10,566	10,566
საწესდებო კაპიტალის ავტორიზებული ზრდა	-	-	-
დივიდენდები	-	(70,842)	(70,842)
ოპერაციები მფლობელებთან	-	(70,842)	(70,842)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	23,282	476,341	499,623
2020 წლის გადაანგარიშება		8,582	8,582
2020 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	-	484,923	508,205
წლის მოგება		141,626	141,626
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის მთლიანი შემოსავალი	-	141,626	141,626
საწესდებო კაპიტალის ავტორიზებული ზრდა	12,000	-	12,000
ოპერაციები მფლობელებთან	12,000	-	12,000
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	35,282	626,549	661,831



ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარი		წელი 2021	- წელი 2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა მოგება		141,626	10,566
<i>შესწორებები შემდეგი მუხლებისათვის:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	3	13,810	45,395
ფინანსური ხარჯი		12,171	7,439
მოგების გადასახადის ხარჯი		-	12,502
ფინანსური შემოსავალი		(249)	(655)
მოგება / ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	11	21,906	10,249
სხვა არასაოპერაციო შემოსულობა (ზარალი)		21,845	-
<i>საოპერაციო მოგება / (ზარალი) საბრუნავი კაპიტალის შეცვლამდე</i>		211,109	85,496
სავაჭრო და სხვა მისაღები მოთხოვნების ცვლილება	4	(182,079)	(118,341)
ავანსებისა და სხვა მოკლევადიანი აქტივების ცვლილება		-	2,436
მარაგების ცვლილება		363	2,728
ავანსების ცვლილება		-	(13)
საგადასახადო ავანსების ცვლილება		-	5,145
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების ცვლილება	7	7,160	2,872
გადასახდელი ხელფასების ცვლილება		-	(681)
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების ცვლილება		-	(1,452)
<i>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</i>		36,553	(21,810)
გადახდილი პროცენტები		(12,171)	(7,439)
მიღებული პროცენტები		249	655
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(12,502)
<i>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</i>		24,631	(41,096)
<i>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>			
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	3	(1,033)	(26,051)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	3	44,606	-
<i>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>		43,573	(26,051)
<i>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</i>			
მიღებული სესხი	6	12,172	287,373
გადახდილი სესხი		(85,427)	(110,014)
შემოსავალი საწესდებო კაპიტალის გაზრდიდან		12,000	-
გადახდილი დივიდენდები		-	(70,842)
<i>წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</i>		(61,255)	106,517
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		6,949	39,370
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის		124,757	72,497
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულზე		(21,905)	12,890
<i>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის</i>		109,801	124,757



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს გლობალ კომპანი წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ მეწარმე იურიდიულ პირს. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო. კომპანია დაფუძნებულია 2011 წელს. მისი ძირითადი საქმიანობის სახეს წარმოადგენს საექსპედიტორო, საბროკერო და გადაზიდვის მომსახურება. კომპანიის პარტნიორები და მათი შესაბამისი წილები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

პარტნიორი	2021	2020
	%	%
62006018572, ლევან თორია	50.00	50.00
42001015624, ლევანი გოცირიძე	50.00	50.00

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად და წარმოდგენილია ქართულ ვალუტაში - ლარში.

2.2. მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია ლარამდე.

2.4. ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ამონაგები შედგება მის მიერ მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლებისაგან.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება ყველანაირი გაცემული სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე აღრე გადახდასა და მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის თანხა. ამონაგებში არ გაითვალისწინება მესამე მხარის სახელით / სასარგებლოდ მიღებული თანხები, როგორიცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით ამოღებული დამატებითი ღირებულების გადასახადი. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც კომპანია რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში ჩაირთვება მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები.

2.5. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

2.6. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ახალი რეგულაციის მიხედვით, რომელიც 2017 წლიდანაა ძალაში, მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება დივიდენდები, ფაქტობრივად გადახდის დღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლის მიხედვითაც ნაწილდება დივიდენდები. საგადასახადო განაკვეთი არის წმინდა განაწილებული ოდენობის 15/85.

2.7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღირიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას ცვეთის ღირებულების წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის

სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება აქტივის ექსპლუატაციაში მიღებიდან. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განისაზღვრება შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები, რომელიც შეესაბამება მისი გამოყენების ოპტიმალურ პერიოდს. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ოფისის აღჭურვილობა	4 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	4 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი ¹
შენობა-ნაგებობები	20 წელი

2.8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესწორდება პერსპექტიულად.

2.9. აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეფასება, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება უდიდესი თანხით აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება. ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რომლის დროსაც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

2.10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები (მარაგები) ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ

¹ განისაზღვრება სატრანსპორტო საშუალების გამოშვების თარიღის მიხედვით

დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება ფიფო/საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.11. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების დაგროვილ მოგება-ზარალს.

ღივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

2.12. უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აისახება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2021 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.0976 ლარს, ერთი ევროსათვის შეადგენს 3.5040 და ერთი აზერბაიჯანული მანათისთვის - 1.8222 ლარს. (2020 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი - 3.2766 ლარს, ერთი ევრო - 4.0233, ერთი აზერბაიჯანული მანათი - 1,9288 ლარს; 2019 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.8677 ლარი, ერთი ევრო 3.2095, ერთი მანათი 1.6861).

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით),

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2.13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხორციელდება და დებიტორები არ იღებენ პროცენტს. ხოლო, როდესაც კრედიტი სცდება ნორმალურ საკრედიტო პირობებს, დებიტორული დავალიანება ფასდება ამორტიზებული ღირებულების ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით, ნაკლები გაუფასურების რეზერვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება იმის დასაზუსტებლად არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ თანხები არ არის ანაზღაურებული. თუ ასეა, დაუყოვნებლივ ხდება მიღებული ზარალის მოგება/ზარალში ასახვა.

2.14. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველად აღიარდება ხდება სავაჭრო ფასით და შემდგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულების ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ისინი ნორმალური საპროცენტო პირობებით გამოიყენებიან და პროცენტი არ აქვთ.

3. ძირითადი საშუალებები

ლარი	მიწა	შენიშვნები	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
01 იანვარი 2020	-	57,766	4,917	3,574	225,294	291,551
31 დეკემბერი 2020	-	54,093	5,680	2,511	186,356	248,640

ისტორიული ღირებულება

ღირებულება 01.01.2021	-	69,783	10,286	6,142	270,867	357,078
დამატებითი შესყიდვები 2021	-	-	-	1,034	-	1,034
რეალიზაცია	-	-	(3,642)	(5,710)	(35,254)	(44,606)
31 დეკემბერი 2021	-	69,783	6,644	1,466	235,613	313,506

დაგროვილი ცვეთა
დაგროვილი ცვეთა
01.01.2021

ცვეთა 2021	-	3,673	1,144	114	28,421	33,352
რეალიზ. ძირ. საშ. დაგროვილი ცვეთა 2021	-	-	(2,629)	(3,564)	(13,349)	(19,542)
31 დეკემბერი 2021	-	19,363	3,121	181	99,583	122,248

წმინდა საბალანსო ღირებულება

01 იანვარი 2021	-	54,093	5,680	2,511	186,356	248,640
31 დეკემბერი 2021	-	50,420	3,523	1,285	136,030	191,258

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია რეალურ ღირებულებასთან მიახლოებულ თანხად. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. 2021 წლის მდგომარეობით - სავაჭრო მოთხოვნის თანხებში ასახულია დაახლოებით 75 დებიტორის მოკლევადიანი მოთხოვნა (2020 წელი - 65 დებიტორი, 2019 წელი - 45 დებიტორი). დებიტორული მოთხოვნის დაფარვა ხდება 15-30 დღის განმავლობაში. ასევე, დებიტორთა გარკვეული რაოდენობა დავალიანებას ფარავს ერთი კვირის ვადაში.

ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნები	565,610	395,905
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	42,679	37,327
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	608,289	433,232

5. ფულადი სახსრები

ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ნაღდი ფული სალაროში	1,472	306
საბანკო ანგარიში ეროვნულ ვალუტაში	2,833	3,162
საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში	105,496	121,289
<i>სულ ფულადი სახსრები</i>	<i>109,801</i>	<i>124,757</i>

6. სესხები

ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სესხი 1	-	1,355
სესხი 2	-	1,913
სესხი 3	210,056	278,125
<i>სულ სესხები</i>	<i>210,056</i>	<i>281,393</i>

	სესხის თანხა USD	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	კრედიტის ვადა (დღე)	წლიური ნომინალური განაკვეთი	წლიური ეფექტური განაკვეთი	უზრუნ ველყო ფილი
სესხი 1	30,000	05.07.2016	10.06.2019	1069	9%	-	არა
სესხი 2	55,000	25.12.2017	25.12.2020	1096	7%	8.45%	არა
სესხი 3	15,000	15.03.2018	15.03.2021	1096	7%	7.63%	არა

კომპანიის მიერ სესხი აღებულია ბანკისგან უცხოურ ვალუტაში, დოლარში. 2021 წელს კომპანიაზე სესხები არაა გაცემული. მხოლოდ ძირითადი თანხისა და სესხის პროცენტის დაფარვა ხდებოდა. კომპანიისთვის სესხის აღების მიზანს წარმოადგენდა ძირითადი საშუალებების შეძენა.

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებში ასახულია დაახლოებით 71 კრედიტორის კრედიტორული დავალიანება (2020 წელი - 63 კრედიტორი, 2019 წელი - 46 კრედიტორი). კრედიტორული დავალიანების დაფარვა ხდება 15-30 დღის განმავლობაში. ასევე, კრედიტორთა გარკვეული რაოდენობის დავალიანების დაფარვა ხდება ერთი კვირის ვადაში.

ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო ვალდებულებები იურიდიული პირების მიმართ	26,788	18,478
სავაჭრო ვალდებულებები ფიზიკური პირების მიმართ	5,209	10,773
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7,784	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	39,781	29,251

8. შემოსავალი რეალიზაციიდან

ლარი	წელი 2021	წელი 2020
შემოსავალი საერთაშორისო გადაზიდვიდან და მასთან დაკავშირებულ საბროკერო საექსპედიტორო მომსახურებიდან	4,034,357	1,803,502
შემოსავალი შიდა გადაზიდვიდან და მასთან დაკავშირებულ საბროკერო საექსპედიტორო მომსახურებიდან	579,517	435,741
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	4,613,874	2,239,243

9. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

ლარი	წელი 2021	წელი 20212
სატრანსპორტო გადაზიდვა ბაჟო	1,878,493	166,975
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	1,649,805	1,220,058
საწვავის ხარჯი	189,092	151,288
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი - ინდ. მეწარმეები	184,456	91,812
მძღოლებისა და ბროკერების შრომის ანაზღაურების ხარჯი	50,777	55,022
სატვირთო ავტომობილების ექსპლუატაციის ხარჯები	41,148	49,506
სატვირთო ავტომობილების ცვეთის ხარჯი	28,421	38,490
მივლინების ხარჯი	20,218	25,103
გზატარებლობის ბარათების და სხვა ხარჯები	18,204	24,221
სატერმინალო მომსახურება	5,172	26,166
სულ რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	4,065,786	1,848,641

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	წელი 2021	წელი 2020
ადმინისტრაციული ხელფასი და სხვა შეღავათები	297,930	303,256
დაზღვევის ხარჯები	21,317	22,791
საპენსიო ხარჯები	6,145	5,136
ცვეთის ხარჯები	5,083	6,876
კომუნიკაციის ხარჯები	4,623	6,079
საგადასახადო ხარჯები	3,505	-
წარმომადგენლობითი ხარჯები	2,187	1,782
ბანკის საკომისიო	2,146	4,221
კომუნალური ხარჯები	1,599	1,332
სხვა ხარჯები	1,543	3,489
ბუღალტრული მომსახურების ხარჯები	1,271	1,271
უსაფრთხოების ხარჯები	1,017	1,017
საკანცელარიო ხარჯები	985	1,374
სხვა ჯარიმები	897	466
მივლინების ხარჯები	360	180
კომპიუტერის ხარჯები	181	79
იურიდიული მომსახურების ხარჯები	-	637
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	350,789	359,986

11. ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან

ლარი	წელი 2021	წელი 2020
ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით	(27,353)	24,433
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით	5,447	(34,682)
სულ ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	(21,906)	(10,249)

12. ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება

2021 წელს დაკორექტირდა 2020 წლამდე პერიოდში ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა: ოფისის აღჭურვილობა 1,104 ლარის, ხოლო ავეჯი და სხვა ინვენტარი 2,148 ლარის, ჯამში 3,162 ლარის ოდენობით.

გადაფასების საფუძველზე გადაანგარიშებულია გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი.

აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად გადაანგარიშებულია წინა პერიოდის გაუნაწილებელი მოგება.

ღარი	2020 წელი გადაანგარიშებული	გადაანგარიშება	წელი 2020
დაროვილი ცვეთა 01.01.2020	44,228	3,162	47,390
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	281,393	5,420	286,813
გაუნაწილებელი მოგება	484,923	8,582	476,341